

ქვეყანა

№12 (249)

ივნი, 2013 წალი
 გამოდის 2002 წლის დეკემბრიდან

Ελλάδα

საბერძნეთის ძართული დიასპორის გაზეთი

მათ სსოვნას ქვეყანა საწოლაგად აინთავს



კლავდია რიგიივი
 გიისდ ნაწარმარევილი



აკარაღი
 გიორგი აწარმარევილი



კლავდია რიგიივი
 გიორგი დწარმარევილი



აკარაღი
 გიორგი აწარმარევილი



კლავდია რიგიივი
 გარა გარმარევილი



აკარაღი
 გიორგი აწარმარევილი



რიგიივი
 გიორგი ნარმარევილი

ქართულ სამშვიდობო ბატალიონში, რომელიც ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაშია დისლოცირებული, მორიგი ტრაგედია დატრიალდა: 6 ივნისს ქართულ ბაზაზე თავდასხმა მოხდა. თვითმკვლელობა ტერორისტმა ბაზასთან სატვირთო მანქანით აფეთქება მოახდინა. თავდასხმის შედეგად 7 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ისინი საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ. დაღუპული სამხედრო მოსამსახურეები მისიის შესასრულებლად ავღანეთში 2013 წლის აპრილში გაემგზავრნენ. კარალი **თიმიურაჯ ორთაქიძე** (07.01.1988) ქართულ ჯარში 2009 წლიდან მსახურობდა. კარალი **გიორგი ალაძე** (23.05.1990) შეიარაღებული ძალების რიგებში 2009 წლიდან ირიცხება. პირველი კლასის რიგითი **ჯურაბ გურგენაშვილი** (02.09.1980) არმიაში 2010 წლიდან მსახურობდა. რიგითმა **მიხეილ ნარინდოშვილმა** (25.12.1986) კონტრაქტი 2012 წელს გააფორმა. რიგითმა **ბორის ცაგოშვილმა** (12.05.1984) შეიარაღებულ ძალებში 6 წელი იმსახურა. პირველი კლასის რიგითი **ჯივად სულხანიშვილი** (22.10.1990) ქართულ ჯარს 2010 წელს შეუერთდა. პირველი კლასის რიგითი **გიორგი დუჭაშვილი** (10.12.1991) საქართველოს შეიარაღებული ძალებში 2010 წლიდან მსახურობდა.

თავდასხმის დროს დაიჭრა საქართველოს შეიარაღებული ძალების 9 სამხედრო მოსამსახურე. თავდაცვის უწყების თანახმად, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მომხდარი ფაქტი აუნაზღაურებელი დანაკლისი და დიდი ტრაგედიაა, როგორც ქართველი გმირების ოჯახებისთვის, ასევე, მთელი საქართველოსთვის. საბერძნეთის ქართული ემიგრაცია, მთელ საქართველოსთან ერთად განიცდის ამ ტრაგედიას და სამძიმარს უცხადებს დაღუპული გმირების ოჯახებს.

საქართველოს დიასპორისა და სპორტის მინისტრები სამუშაო ვიზიტით საბერძნეთს ეწვივნენ



დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ჭიჭინაძე ერთად, სამუშაო ვიზიტით საბერძნეთში იმყოფებიან. 7 ივნისს საბერძნეთში ვიზიტის ფარგლებში კონსტანტინე სურგულაძე და ლევან ჭიჭინაძე შეხვედრა გამართეს საბერძნეთის განათლების, რელიგიურ საკითხთა, კულტურისა და სპორტის მინისტრთან, კონსტანტინოს არკანტიმოქოუსთან, აგრეთვე საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, სარალაშაშოს ათანასიონისთან. შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ასევე ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში დავით ბაქრაძე და საქართველოს კონსული საბერძნეთის რესპუბლიკაში გიორგი არჩამაშვილი.

რამ გააკვირვა შორენა შენგელია ფერეიდანში



6-8

გაზეთი „ქვეყანა“ იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნებარესის ილია მეორის ღირსპატივით

დაუპიწყარი მოგზაურობა ფერეიდანში

შორენა ზენგალია

ემიგრაციაში მყოფ ლტოლვილ ქალს, რომელსაც მხოლოდ ტკივილი და სევდა მასწავს, ჩემს სამშობლოში პოლიტიკოსების ამბიციების და უამრავი შეცდომების მსხვერპლს, აფხაზეთიდან, ჩემი მიწა-წყლიდან, უმოწყალოდ გამოგდებულს და მრავალი უბედურების მომსწრეს, მაინც არ მტოვებს მომავლის იმედი, - როგორც ვახერხებ, ისე ვებრძვი ცხოვრებას და შევეყურებ რწმენით აფხაზეთში, ჩემს მიწა-წყალზე დაბრუნებას. როგორი როლიც არ უნდა ადამიანის ბედისწერა, სიცოცხლე, მაინც, ყველაზე ძვირფასია, რაც კი გვაქვს; ეს სიცოცხლე განსაკუთრებულად ღმერთს სდება, როცა გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც ამ დაუნდობელ, ბოროტებით საკმაოდ გაჯერებულ წუთისოველში, სითბოთი და სიყვარულით გვაჯილდოებენ. ხშირად გამჩენია კითხვა - ვართ კი ამ სიყვარულის ღირსნი?.. ალბათ უფალი სიბუდეებს, მტრობას, ბოროტებას ვკაპტობს, რადგანაც ყველაზე მისი შეილები ვართ, ხოლო მოთმინების, კეთილშობილებისა და სიყვარულისთვის უხვად გვაჯილდოებს. სწორედ ჩემს მოთმინებას მივაწერ იმ ჯილდოს, რაც, უფლის ნებით, მწერალთა კავშირის ინიციატივით და თბილისის მერიის თანადგომით მერგო, - მემოგზაურა ჩვენი ქვეყნის ფრიალ სასიქაღულო, სასახლეო და საინტერესო ადამიანებთან ერთად ირანში, რაც წარმოუდგენელ ოცნებად და აუხდენელ სიზმრად მიმჩნია. ერთ მშვენიერ დღეს კი ეს საოცარი სიზმარი ამიხდა.



ირანი ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა მსოფლიოში. დღესდღეობით, დასავლეთ აზიაში ეს ქვეყანა ტექნოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სახელმწიფოა, რომელიც ჩვენი ისტორიული მეზობელიც არის და ისტორიული მტრებიც იყვნენ. აღმოსავლეთ საქართველო რომ ირანული ცივილიზაციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ამას ჩვენს მტკიცებულებაში უამრავი სპარსული სიტყვის არსებობაც ატკიცებს. ირანი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი ტრადიციული ცენტრია. საქართველო კი ის ქვეყანა, სადაც ხდებოდა მრავალი კულტურის და ცივილიზაციის სინთეზი. ამის უამრავი მაგალითი არსებობს, მაგალითად, ირანული ლიტერატურის გავლენა ქართულ ლიტერატურაზე, რომლის თვალსაჩინო ნიმუშია „ამირანდარეჯანიანი“ და სხვა.

1979 წელს, ათათურა ხომეინის ხელმძღვანელობით მომხდარი რევოლუციის შედეგად გაუქმდა მონარქია და შეიქმნა ისლამური რესპუბლიკა. ირანი შაჰის, შაჰ-აბასის სახელი ძალიან მტკივნეულად შემორჩა ჩვენს ისტორიას. სხვადასხვა ვერსიით, მან დაახლოებით 130 ათასი ქართველი გადაასახლა ირანში, რომელთა ბედი ასევე სხვადასხვანაირად გრძელდებოდა, - ნაწილი გზაშივე იყიდებოდა ან იხოცებოდა, ნაწილი სხვადასხვა რეგიონებში სახლდებოდა და ძალევე ერიოდნენ ადგილობრივებს. ქართული დასახლებებით ირანი იცავდა საკუთარ სტრატეგიულ

რეგიონებს მომთაბარე ტომების თოვდასხმებისაგან, ასუსტებდა უარ ქართლ-კახეთს და მამაცი ქართველი მეომრებით ლაშქარს იძლიერებდა. ფერეიდანელმა ქართველებმა, რომლებიც ირანის ისპაჰანის რეგიონში დაასახლეს კომპაქტურად, საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს ქართველობა და არ ითქვამიან ადგილობრივ მოსახლეობაში.

იყო ემიგრანტიც და ლტოლვილიც, რომელიც მძიმე სატარებელი ტვირთია, მაგრამ სულ მჭირდა განსაკუთრებული სურვილი და წყურვილი, შეგზავდოდი ერთ დროს ჩემზე უფრო გაუბედურებულს. მაგრამ უფრო ძლიერ და პატრიოტ ქართველებს, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესსა და პატივისცემას იმსახურებდა, არა მარტო ჩემში და თანამემამულეების თვალში, არამედ ყველაში, ვისაც კი სმენია მათი დიდ უნარზე. დიდ ქართველობაზე, მათ ხომ ოთხი საუკუნე სათუთად მოუარეს და შეინარჩუნეს თავიანთი რჯული და დედა ენა. არ შეიძლება არ შეგძრას მათ მიერ წარმოთქმულმა ქართულმა, რომელიც მიუხედავად სისტემატური დევნისა და მტრობისა, მაინც გადაიარჩინეს. გაცივებს იწყებს მათი სიყვარული ყველაფერი მშობლიურის მიმართ. ადვილი წარმოსადგენია, ისეთ ქვეყანაში, როგორც ირანი, რის ფასად შესძლებს ამ პრიორიტეტის შენარჩუნება და ქართველებად დარჩენა, მართალია, წლები, საუკუნეები, პოლიტიკა, სარწმუნოება, მენტალიტეტი, ყველაფერი გვაშორებს ერთმანეთს, მაგრამ სულს, იმ ქართულ გენს, კაცთმოყვარეს, ღალს მაინც თავისი გააქვს.

ამ ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე რთულად საცხოვრებელ პირობები შუა ირანში, ვრეთ წოდებულ ფერეიდანშია. ჩემი ოცწლიანი ტკივილის შედარება მინდოდა, მათ საუკუნოვან ტკივილთან და ამიტომაც იყო ჩემთვის ასე საინტერესო შთაბეჭდილებებით საესე ეს მოგზაურობა. ადამიანი ადამიანია, ხშირად ყოფითი პირობები განაპირობებს იმას, რომ შეეისხლ ხორცო, შერიო იმ ცხოვრების რიტმს, რასაც გიშვადებს ბედისწერა. რა თქმა უნდა, ყველას ხვედრი ერთნაირი არ არის ამ პროცესში. ჩვენი ისტორია მრავალი მძიმე მოგონებით და მტკივნეული ფაქტებითაა სავსე, ალბათ ესეც ქმნის ჩვენს უღამაზეს ქვეყანას, ყველასათვის საინტერესოს და საოცნებოს,

რაც არა ერთხელ დამტკიცდა მისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე და ალბათ ამიტომაც გადაურჩით, ადნეჯერ ამოვარდნილ დამანგრეველ „ქარიშხალს“ და „ვეშაჰისმავარი“ ქვეყნებისაგან გადაყლაპვას. ჩვენი ჯიშის უპირატესობა სწორედ იმაშია, რომ, მართალია, ერთმანეთს ვერჩით, შურითა და ჯიბრით, მაგრამ ქართველობა ყველას გვეამაყება, რადგან ისტორიული წარსულიდან დღემდე, სულ ბრბოლის ველზე ვართ, თავის გადასარჩენად და ასეთი ვიხილე მე სხვის მიწა-წყალზე, სხვისი სარწმუნოების მქონე ქართველებიც, რომლებიც საუკუნეებია, დავკამორეს და საერთოდ მოსწყვიტეს ქართულ გარემოს, მაგრამ ქართული სიტყვა და ქართული ჯიშით მაინც ვერ გადაამწყნეს, მიუხედავად მრავალი ცდისა და იძულებისა.

არსებობს თქმულება, რომ ფერეიდანში „მთა მზიანის“ გორაზე ქართველებს წმინდა გიორგი გამოეცხადათ და ქვა გასკდა, ეს ადგილი დღესაც სალოცავად აქვს ფერეიდანელ ქართველებს.

მინდა მოგიხროთ ჩვენს საამაყო თანამემამულეებზე, ფერეიდანელ ქართველებზე და თბობა დავიწყო ერთ-ერთი ასეთი ქართველის მიერ გადაყვებული, ან კალანდახის ლექსით, რომელიც მეგზურობას გვიწვევდა ქალაქის დასათვალიერებლად და ეს ლექსიც იქ წაგვიკითხა:

ქარი გიბღერის ნანასა,
ზღაპარს გაიბობს ჭადარი,
ტყენად აღვრისთ ამესო,
ეჭვებით ნაუადარი...
საქართველოო ღამასო,
„სხვა საქართველო აქ არი“...

ასე გამოხატა და დავგანახა ამ ფერეიდანელმა ახალგაზრდამ თავისი საქართველო, რომელიც სამშობლოს, ალბათ ლექსებით, სურათებით და წინაპრების მონახობებით ჰვეარობს ასე ძალიან: ქართულსაც, ნასწავლს წინაპრებისგან, სხვას ასწავლის უსასყიდლოდ, ვისაც მშობლიური ენის დაიწყება არ სურს და ასე ეჭვდებთან ქართულ ფესვებს შაჰ-აბასის მძევალი ქართველები.

თიერანში ჩაფრენამდე საელჩოში მივეწვივე ჩაიზე და მოგვეცეს ინსტრუქცია, როგორ უნდა ჩაგვეცვა ირანში. ჩვენი მოგზაურობა ირანში, საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდა მწერლებთან და პოეტებთან ერთად, განსაკუთრებულად შთაბეჭდვად გამოდგა. ყველაფერი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზირებული, ყველა წუთი და საათი გათვლილი იყო საქმიანი შეხვედრებისათვის.



თერაში ჩაერთვები დაგვეხმარე ის ირანელი მასპინძლები, რომლებიც საქართველოს კარგად იცნობდნენ, პატივით დიდი წვლილი შეტანილი ქართული-ირანული ურთიერთობების აღდგენაში. ჩვენი ეს მოგზაურობაც ემსახურებოდა კულტურის დაახლოებას, ახალგაზრდა მწერლებისა და პოეტების მონაწილეობით, დიდ ირანულ პოეზიასთან ზიარებას. სწორედ ირანელების დახმარებით და დაფინანსებით გამოიცა წინა წლებში ირანული პოეზიის მშვენიერი, ფირდუსის „შაჰ-ნამე“. მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ ამ ნაწარმოების მთარგმნელი ქალბატონი, ზედა შალვაშვილი იყო იმყოფებოდა ჩვენს დელეგაციაში, რომელსაც განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ ირანელები.

ირანში ყოველწლიურად იმართება წიგნის უზარმაზარი ბაზრობა, რომლის ორგანიზებაში ჩართულია თითქოს ყველა და ყველაფერი. იმართება შეხვედრები, ამ ბაზრობას უამრავი ხალხი ათვალისწინებს. მათმა სიყვარულმაწიგნისადმი და ირანის გასაცნობად ჩატარებულმა ღონისძიებებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ძალიან შთაბეჭდილი იყო ჩვენი მონაწილეობა წიგნის გამოფენაში, ამ საოცრებას ბაზრობას ნამდვილად ვერ დავარქვავდი, ეს იყო ნამდვილი წიგნის დღესასწაული და გამოცემლების ზეიმი, სადაც ჩვენი დელეგაცია განსაკუთრებული პატივით მიიღეს. არაერთი თბილი სიტყვა თქვა ქართული-ირანულ კულტურაზე და ურთიერთობის განვითარების პერსპექტივებზე. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, მაყვალა გონაშვილს არაერთი შეხვედრაზე მოუწია სიტყვაში გამოხატვა. გამოფენაზე მწერალთა კავშირის მიერ წარმოდგენილი იყო მინიატურული ხელნაკეთი წიგნი - „სადა შირაზელ - პოეზია ქართულ-სპარსულად“, რომელიც გამოიცა თბილისის მერიის მხარდაჭერით. წიგნი თარგმნა პროფესორმა ნომადი ბართაძემ და მხატვრულად გააფორმა, ქართულ ხელნაწერთა მინიატურების მიხედვით, ცნობილი მხატვარმა ქეთი მატაბულამ. ამ წიგნების დიდი ნაწილი საჩუქრად დაურიცხდათ პატივცემულ მასპინძლებს, საქართველოდან მათი პოეზიის თაყვანისცემის ნიშნად. ბატონი ნომადი ძალზედ პატივცემული ადამიანია და ირანში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მასაც განსაკუთრებული პატივით ხვდებოდნენ ირანელები.

არ შეიძლება არ გავაცოცხლო წიგნის და გამოცემების დონემ ამ გამოფენაზე, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. უზარმაზარ და ულამაზეს დარბაზში მოწყობილი ამ ზეიმმა და წიგნების ხარისხმა მოგვხიბლა. ულამაზესად გამოცემული უამრავი სახის ყურანი, რომელსაც ნამდვილად ვერ შევადარებ ჩვენი საუნჯის - ბიბლიის გამოცემებს.

ამას, ეტყობა, პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, მაგრამ მათ სასარგებლოდ უნდა ითქვას ის, რომ ყველა წიგნი, დიდად პატივცემულია და მაღალი გამოცემის კულტურა გააჩნიათ. თერაში ჩაერთვების დღიდანვე ვეკრდიდნარ მოგვგვარებია ფერეიდანელი ქართველი სადა მულოიანი, გიორგი, რომელიც მშვიდად, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, ყველა ჩვენს სურვილს ასრულებდა, ყველა ჩვენს კითხვას პასუხობდა, რომელიც საკმაოდ ბევრი გვქონდა თითოეულ ჩვენგანს. ამ დამოკიდებულებაში ნამდვილი ერთგულება იგრძნობოდა. ეს იყო ქართველი, რომელსაც უნდოდა, მისი დამოკიდებულება და სიყვარული ყველაფერი ქართულისადმი დაეხატებინა ჩვენთვის, რაც მართლაც დაგვანახა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. მას მარტო ჩვენთან ურთიერთობა არ ამშვენებს, დიდ ქართულ საქმეს პირნათლად ემსახურება ფერეიდანში.

ჩვენი დელეგაციის გეგმა და ყველაზე დიდი სურვილი იყო, შევხვედროდით ფერეიდანელ ქართველებს, რამდენიმე დღე გვეცხოვრა მათთან ერთად, მოვეყვებოდით და გამოგვეხატა ჩვენი თანადგომა, მოგვეწყო

ქართული პოეზიის საღამო, რადგანაც სხვას ვერაფერს გაუკეთებდით. როგორც ეტყობა, დღემდე არსებობს შიში იმისა, რომ ფერეიდანელმა ქართველებმა ფერეიდანი არ დატოვეს, სარწმუნოება არ შეიცვალა. საუბრეებში მანძილზე იძულებამ, მათ ირგვლივ შექმნილმა გარემომაც შეცვალა მენტალიტეტი, მაგრამ პატრიოტი ქართველი მათში ვერ ჩაატყდა, მაგრამ პოლიტიკა ყველგან მაინც უბრალო ადამიანებს ჩაგრაეს. ეს ის ქვეყანაა, სადაც მრავალი ხერხით იზღუდებდა ადამიანის თავისუფლებას. ალბათ ყველა, ვისაც საშუალება მიეცემა, ცდილობს, ბევრი რამ შეცვალოს თავის ცხოვრებაში, არა აქვს მნიშვნელობა, ირანელი იქნება ის თუ ქართველი, სწორედ ამას მოწმობს დღეს მუსულმანური ქვეყნიდან წამოსული ადრენი ლტოლვილი, რომლებიც გაურბიან ფუნდამენტალიზმს, სიღუბნურს, ეძებენ თავისუფლებას, ახალგაზრდა უკეთესი მომავლის ძიებაშია, მაგრამ, საუბედროდ, ერთეულები ახერხებენ და უძლებენ ამ საშინელ გამოცდებს, ვინაიდან არც ვეროპაშია ადვილი მოწყობა და ადამიანების უფლებები ისე დაცული, როგორც ამას კანონები ითვალისწინებს და ხატავს ლამაზად.

ფერეიდანელი ქართველები ის მუსლიმანებია, რომლებსაც არ აინტერესებთ საკუთარი წარსული და თითოეულ მათგანს აქვს ორი სახელი და გვარი, - ერთი, წმინდა ქართული, შთამომავლობით გადმოცემული და მეორე ირანული, ეს იმას ნიშნავს იგი ქართველია და გაცნობიერებულია აქვთ ეს კარგად, რომლის შეცვლის არანაირი არ საშუალება არსებობს, არც საჭიროება, რადგანაც ბედისწერამ ეს არგუნათ. არც ისეთი ქვეყნიდან არიან, და ეს ყველას კარგად ესმის, რომელსაც რაიმე უკეთესი პირობების შეთავაზება შეუძლია, მაგრამ საქართველო მაინც ყველასთვის საოცნებო



ფერეიდანელ სტუდენტებთან



ქართველი გამომცემლები

დასასრული მე-8 ნავერდზე



ფერეიდანელმა ბავშვებმა სიურპრიზი მოგვიწყეს თავიანთი დახვედრით!

დაუწინყარი მოგზაურობა ფარილანში

მე-7 გვერდიდან

ფანჯარა უკეთესობისაკენ, მათ კერძო საკუთრების კანონით ჩვენზე ბევრი ხანი იცხოვრეს და ბევრ რაიმეს ალბათ უფრო რეალური გადმოსახედიდან ხედავენ.


ირანში ეს ქართველები ეტყობა განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ წარსულიდან დღემდე, ყველამ ვიცით, რის ფასად უხდებოდა და უხდება ქართველს ქართველობა ირანში, მაგრამ დამოჯერეთ, ამას ნამდვილად სასახელოდ ახერხებენ, რისი უამრავი მაგალითები არსებობს წარსულშიც და დღესაც.

ჩვენი დელეგაცია, მიუხედავად დიდი პატივისცემისა და ყურადღებისა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე იჩენდნენ ჩვენი მასპინძლები, მთავალყურეობის გარეშე ერთი წუთითაც არ დაუტოვებიათ, განსაკუთრებით ფერეიდანში ივრანობდა ჩვენი იზოლირება ჯგუფური შეხვედრებისაგან ქართველებთან. სხვა მხრივ,

ყველაფერი კარგად იყო დაგეგმილი. წავეყვანეს ფერეიდანის გმირთა სასაფლაოზე, სადაც პატივი მიიღეს ირან-ერაყის ომში დაღუპული ქართველი გმირის ხსოვნას, საფლავებზე დაიხარნენ და მათი ლოცვა წარმოთქვეს, შემდეგ გვიტარეს, რომ დაეაღებულენ არიან ჩვენგან, ამ გმირების გამო. ძალიან ამაღელვარე საფლავებზე ქართულმა წარწერებმა. შემდეგ წავეყვანეს ფერეიდანის ვაჟთა სკოლაში რომელიც სწორედ ამ გმირის სახელს ატარებდა, შეგახვედრეს მათ შეილებს, რომლებიც ნამდვილად გამოირჩეოდნენ. სკოლაში დაგვემძილი შეხვედრა მოგვიწყვეს, მაგრამ სკოლიდან გამოსულებს განსაკუთრებულად ამაღელვებელი სცენა დაგვხვდა, რომელიც ეტყობა გაუთვალისწინებლად მოხდა და დისკომფორტიც გამოიწვია ხელმძღვანელობაში. ეს იყო უამრავი ბავშვის შეხვედრა იმ წუთას სამშობლოსთან, მათი გამოხატული სიბოძო, ინტერესი ნამდვილად დაუეჭვარი შთაბეჭდილება თითოეული ჩვენგანისათვის. მთელი იქ ყოფნის განმავლობაში, ქართველები, როგორც შემდეგ შეიკრებოდა უზაღებლად ჩვენს დასახვედრად, მაგრამ რადგანაც ჩვენი გრაფიკი მათი ხელმძღვანელობის დაგეგმილი იყო, არც იყო სწორი რაიმე კორექტივების შეტანა და მათთვის პრობლემების შექმნა.

ქართველები თითო-ოროდ დაგვედგნენ, უნდოდით ჩვენთან დაახლოვება, ჩვენი სტუმრობა მათ სახლებში, რასაც მათი მთავრობა მკაცრად ეწინააღმდეგებოდა, დაგვაბინავენ ერთ-ერთ შენობაში, რომელშიც არავითარი პირობები არ შეგვიქმნეს, ალბათ უნდოდით, ფერეიდანი მალე დაგვეტოვებინა. ასევე ვიყავით უნივერსიტეტში, სადაც დაგვეხვედნენ, მაგრამ სტუდენტებს არ შეგვახვედრეს. შეხვედრით რამდენიმეს. პატივით მიგვიღეს ფერეიდანის სამღვდლოების ლიდერთან, რომელმაც საკმაოდ თბილი სიტყვები წარმოთქვა ქართველთა მიმართ. სიტყვით გამოვიდა ჩვენი მამა პეტრე, რომელიც ჩვენს დელეგაციას ახლდა, მიულოცა ადვოკატის დღესასწაული ყველას და მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებისა, მშვიდობა და ურთიერთპატივისცემა უსურვა ყველას.

ირანში მცხოვრები ფერეიდანელი ქართველები რომ ნამდვილად გამოირჩები არიან, ალბათ ამაში ყველა დამოკიდებულია. მინდა მაგალითად



33-თლიანი ხიდი ისპაჰანში, ალავერდი-ხან უნდლიადის მიერ აშენებული

მოგიყვანოთ ერთი ახლად დანიშნული ქართველი წყვილის ნათქვამი. ჩემს შეკითხვაზე, -- როგორ ახერხებთ ერთმანეთის პოვნას და ერთმანეთზე ჭორწინებას-შეთქი, -- ახალგაზრდამ ასე მიპასუხა: -- რა სიყვარული უნდა იყოს ისეთი, შენს ენაზე და რჯულზე წინ დააყენო, ქართველ შეილებს მარტო ქართველი დედა ზრდისო.

ამას, მე გმინი, დღეს მხოლოდ ფერეიდანელი თუ იტყვის და მხოლოდ იქ სწორედ ასეთმა ქართველებმა გადაურჩინეს დედა ენა ფერეიდანელებს, რომლებიც ნამდვილად ღირსეული ქართველებია.

მოგახვრებთ და ვიყავით სტუმრად ერთ ძალიან წარმატებულ ქართულ ოჯახში ქალაქ ისპაჰანში. ჩვენი მასპინძელი რეზო იოსელიანი და მისი ორი ძმა ქალაქში მრავალი ფაბრიკის მფლობელები არიან. ატმოსფერო, რომელიც ამ ოჯახში დაგვხვდა, არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ჩვენი ოჯახებისაგან, იყვნენ, რა თქმა უნდა, შეძლებულნიც. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის ქალბატონები სპარსელები იყვნენ და ქართულად ვერ ლაპარაკობდნენ, ატმოსფერო მაინც უფრო ქართული იგრძნობოდა. მათ ბევრი კარგი სიტყვა თქვეს მათი ქართველი ქმრების ზნე-ჩვეულებებზე. სამი ქალიშვილის პატრონმა კი ასეთი რამ გვითხრა: -- ჩემს ქალიშვილს მიხონებულები მოადგენ და პასუხი ასეთი გასცა -- „ჯერ ქართველს ველოდები“.

ამ პასუხმა ყველა გაგვახარა. ასე იცავს და დარაჯობს ეს ხალხი ქართველობას.

ისპაჰანი განსაკუთრებულად ლამაზი ქალაქია, დიდი ისტორიის მქონე. ირანის დედაქალაქი მე-16-მე-17 საუკუნეებში, სიდიდით მესამე და ყველაზე ლამაზი, მისი მოსახლეობის ეროვნულმა და რელიგიურმა სიჭრტელომ, არქიტექტურაში და მხატვრობაში, ქრისტიანული და ისლამური კულტურის სინთეზი გამოიწვია, რომლის ხიბლს გარკვეულწილად განსაზღვრავს მდინარე „ზინდე რუდი“ და მასზე აგებული ხიდები, რომელთა შორის აღსანიშნავია „სიოსეპოლი“ (ოცდაცამეტი ხიდი), რომელიც შაჰ-აბასის სეფაქსალარის ალავერდი-ხან უნდლიადის აშენებულია, ამ ხიდს 33 თალი აქვს, რომელიც შეესაბამება ქართული ანბანის 33 ასოს და თითოეულ თაღზე თითო ქართული ასოა გამოსახული.

ძალიან საამაყოა, როცა ასეთ ქალაქში საუკუნეების წინ აგებული ეს ხიდი დღემდე ყველაზე ლამაზ სასიერო ადგილად მოიაზრება და რომელსაც უამრავი მხატვლი ჰყავს.

ხიდის დასათვალიერებლად რომ გავედიოთ, ჩვენს ქართულ ლაპარაკს გამოეხმაურა, ასევე სასიეროდ გამოსული ერთი ქართული ოჯახი, რომლებიც საოცარ სიბოძოს და სიყვარულს გამოხატავდნენ, არ გვტოვებდნენ, გველაპარაკებოდნენ ქართულად, გვიყვებოდნენ თავიანთი ამბებს, ცხოვრების წესებს. მათ ახლადთ ორი შეილი, რომლებიც ვერ ლაპარაკობდნენ, მაგრამ



ქართული ესმოდით, გოგონა მარგალიტს ჰკავდა იმ ირანულ სამოსში გახვეული. ეს მართლაც ძალიან ლამაზი სადამო გამოდგა ჩვენთვის, ქართველის აშენებულ ხიდზე ქართველებთან შეხვედრებით დამშვენებული.

არ შეგვეხვედრა ქართველი, რომლის ოცნებაც საქართველოში ჩამისვლა არ იყო. ასევე შემთხვევით შევეხვედით, ისპაჰანის აეროპორტში, მაღაზიაში მომუშავე წყვილს, რომლებიც, ჩვენი ქართულის გამგონე, რა თქმა უნდა, გამოგვეხმაურნენ და გვერდიდან არ მოგვეშორებია.

მე ფერეიდანში პატარა საქართველო მართლაც ენახე, დიდი ქართული გულთა და სულით. ხშირად მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, შეიძლება ბევრმაც მიიწყინოს, მაგრამ ჩემის აზრით, გარეთ გასულ ქართველს საქართველო უფრო უყვარს. უკვე ბევრი საქართველოდან წასული ქართველი უკან ბრუნდება, ფერეიდანელ ქართველებსაც უნდათ, საერთო ჰქონდეთ ისტორიული სამშობლოსთან, რომელიც ერთადერთი იმდენი და სარკმელია მათთვის საუკუნეების წინ გამოხურული კარებისა.

ჩემი წერილის ბოლოს, მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს, თბილისის მერიიდან, ბატონ შოთა მაღლაკელიძეს, ნანა გიორგაძეს, ნომადი ბართიას და ყველას, ვინც დაგვემა ეს მართლაც ისტორიული მოგზაურობა, საოცარი შთაბეჭდილებებით სავსე. ასევე დიდი მადლობა ამ მოგზაურობის ყველა მონაწილეს, რომლებთანაც გაატარე ეს განცდებით სავსე და დაუვიწყარი დღეები. განსაკუთრებულად მინდა მოვეფერო საუკეთესო ქართველ ახალგაზრდა მწერლებსა და პოეტებს, რომლებიც თავიანთი მონაწილეობით ნამდვილად გვილაშაზებდნენ იქ გატარებულ დღეებს, დაუზარელად ავიწიებდნენ ყველაფერს, იღებდნენ სურათებს, რომლებიც ალბათ ერთ დროს ისტორიის საკუთრებაც გახდება.